სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

მარშალ გელოვანის გამზ. N36ა
0159 თბილისი, საქართველო
(+995 32) 2 91 91 67
info@nfa.gov.ge

30 ივნისი 2025

N 09/6525

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ,,სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ კოორდინატორს

ბატონ ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოში განხილული იქნა თქვენი მიმდინარე წლის 5 ივნისის №4-005 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც ეხებოდა საერთაშორისო ლაბორატორიულ ქსელ ,,ევროფინსში“ შემავალ თურქულ ლაბორატორიაში შპს ,,ქართული-სადისტრიბუციო მარკეტინგული კომპანიის“ მიერ იმპორტირებული საბუტერბროდე მცენარეული ცხიმის ,,ლუნა“-ს ინდუსტრიული ტრანსცხიმების შემცველობაზე კვლევის საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელდა ზედამხედველობა შპს ,,ქართული სადისტრიბუციო-მარკეტინგული კომპანიის" მიერ იმპორტირებული საბუტერბროდე მცენარეული ცხიმის ,,ლუნა“-ს (დამზადების თარიღი: 09.12.2024; ვარგისიანობის ვადა 09.12.2025) პარტიიდან ნიმუშის აღებაზე და დაევალა ბიზნესოპერატორს მისი შემდგომი ლაბორატორიული კვლევა ტრანსიზომერულ ცხიმებზე.

ამასთან, ბიზნესოპერატორის მიერ წარმოდგენილი გამოცდის ოქმის შედეგებით დგინდება, რომ გამოკვლეული მაჩვენებლის მიხედვით საბუტერბროდე მცენარეული ცხიმი ,,LUNA” შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის №262 დადგენილებით დამტკიცებული ,,სურსათში ტრანსცხიმის ნორმის განსაზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ამავდროულად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 24 იანვრის №2-19 ბრძანების შესაბამისად გურიის რეგიონალური სამმართველოს უფლებამოსილი პირების მიერ სახელმწიფო კონტროლის -

მონიტორინგის ფარგლებში აღებული იქნა შპს ,,ქართული სადისტრიბუციო-მარკეტინგული კომპანიის" მიერ იმპორტირებული საბუტერბროდე მცენარეული ცხიმის ,,ლუნა“-ს (დამზადების თარიღი: 09.12.2024; ვარგისიანობის ვადა 09.12.2025) ნიმუში ტრანსიზომერული ცხიმების კვლევაზე.

ამასთან, აღნიშნული კვლევის შედეგად დადგინდა რომ გამოკვლეული მაჩვენებლის მიხედვით საბუტერბროდე მცენარეული ცხიმი ,,LUNA” შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის №262 დადგენილებით დამტკიცებული ,,სურსათში ტრანსცხიმის ნორმის განსაზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დანართი: 4 ფურცელი.

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი

https://edocument.ge/mea/public/#/6525-09-2-202506300901